KA070136268046415

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-435 ; ცხელი ხაზი: 1406
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-435 Phone: 2 -996-377 Hotline: 1406
www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N13/13-6604

04 / დეკემბერი / 2015 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების
ასოციაციის (GRASS)"
ვიცე-დირექტორს პაატა
გაფრინდაშვილს
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის
ქუჩა N27 ტელეფონი: 555260927

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, თქვენი 2015 წლის 24 ნოემბრის N 493 (სამინისტროში რეგისტრაციის N22918; 26.11.2015 წ.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში დამტკიცებული იყო 6 900 საშტატო ერთეული, მათ შორის 140 საშტატო ერთეული სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. 2015 წლის მდგომარეობით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში დამტკიცებულია 7 048 საშტატო ერთეული, საიდანაც 140 საშტატო ერთეული დამტკიცებულია სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. 2014 წლის მდგომარეობით სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო არაუმეტეს 56 ერთეულით, 2015 წელს - არაუმეტეს 70 ერთეულით. რაც შეეხება ინფორმაციას სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საშტატო და შტატგარეშე თანამშრომლების 9 თვის მონაცემების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ციფრი არის ცვალებადი და შეუძლებელია მთლიან პერიოდზე ერთიანი მონაცემის დაზუსტება. აქედან გამომდინარე, გთხოვთ დააზუსტოთ თქვენს განცხადებაში დასმული საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" პუნქტით რომლის თანახმადაც, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. სამინისტროში არ არის დამუშავებული ცალკე იდინტიფიცირებადი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებული საშტატო და შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობისა და 9 თვის განმავლობაში მათზე ყოველთვიურად გაცემული ხელფასების, დანამატებისა და პრემიების ოდენობის შესახებ ცალ-ცალკე. აქედან გამომდინარე, თქვენი განცხადების მე-6, მე-7, მე-13 და მე-14 პუნქტებით გამოთხოვილი ინფორმაცია არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის დეფინიციას და მისი გამოთხოვის მიზნით, უფლებამოსილი ხართ მიმართოთ შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

განცხადების მე-2, მე-4, მე-5, მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტებთან დაკავშირებით, დანართის სახით გიგზავნით შემდეგ ინფორმაციას:

- 2014-2015 წლების 9 თვის მდგომარეობით, სამინისტროს სისტემაში და ცენტრალურ აპარატში შრომის ანაზღაურების ჯამური რაოდენობა.
- 2014-2015 წლების 9 თვის მდგომარეობით სამინისტროს ცენტრალურ აპარატში როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურების ყოველთვიური მონაცემები (ხელფასი, პრემია, დანამატი).
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ნინო გადილია

2014 წლისა და 2015 წლის ცხრა-ცხრა თვის მონაცემები

რგ.#	თვეების დასახელება	შტატით-2014 წ						შტატით-2015 წ				
		თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი	სადღესასწაულო პრემია	სულ:		თანამდებობრივი სარგო	განსაკუთრებული პრემია	დანამატი	სადღესასწაულო პრემია	სულ:
1	იანვარი	152807	239229	2710	0	394746		157660	0	87520	0	245180
2	თებერვალი	151051	66943	2710	0	220704		159465	0	89680	0	249145
3	მარტი	154235	64843	2710	0	221788		158731	10250	98150	0	267131
4	აპრილი	149015	111135	4710	0	264860		158734	0	100660	154510	413904
5	მაისი	149803	80713	4310	0	234826		155735	0	103770	0	259505
6	ივნისი	155971	85382	2710	0	244063		156177	0	92571	0	248748
7	ივლისი	148040	161264	3905	0	313209		162845	0	88365	0	251210
8	აგვისტო	157639	0	55358	33832	246829		154306	0	84225	50400	288931
9	სექტემბერი	146818	300	2710	0	149828		150558	0	94760	0	245318
	სულ-9 თვეში	**1365379**	**809809**	**81833**	**33832**	**2290853**		**1414211**	**10250**	**839701**	**204910**	**2469072**

		შტატგარეშე-2014წ						შტატგარეშე-2015წ				
რგ.#	თვეების დასახელება	თანამდებობრივი სარგო	პრემია (აგვისტოდან	დანამატი	სადღესასწაულო პრემია	სულ:		თანამდებობრივი სარგო	განსაკუთრებული	დანამატი	სადღესასწაულო პრემია	სულ:
1	იანვარი	46740	58875	0	0	105615		43636	13690	0	0	57326
2	თებერვალი	45910	21170	0	0	67080		48780	10650	0	0	59430

3	მარტი	47800	25455	0	0	73255		53659	18475	0	0	72134
4	აპრილი	46845	44005	0	0	90850		59203	14200	0	57350	130753
5	მაისი	45858	23720	0	0	69578		58658	20935	0	0	79593
6	ივნისი	46500	33730	0	0	80230		61334	18175	0	0	79509
7	ივლისი	49040	51115	0	0	100155		62544	20425	0	0	82969
8	აგვისტო	47243	0	0	16260	63503		60503	20700	0	27600	108803
9	სექტემბერი	46288	5800	0	0	52088		61071	21050	0	0	82121
	სულ-9 თვეში	**422224**	**263870**	**0**	**16260**	**702354**		**509388**	**158300**	**0**	**84950**	**752638**

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება 9 თვე

ორგანიზაც. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	გადახდა
33 00	**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**	
2.1	შრომის ანაზღაურება	39,779,673.94
33 01	**მ.შ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა**	
2.1	შრომის ანაზღაურება	2,471,672.41

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება 9 თვე

ორგანიზაც. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	გადახდა
33 00	**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**	
00	ჯამური	36,496,316.11
2.1	შრომის ანაზღაურება	3,918,440.38
2.5	სუბსიდიები (შრომის ანაზღაურება)	32,577,875.73
33 01	**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა**	
2.1	შრომის ანაზღაურება	2,290,852.79